

როდესაც თეონა 16 წლის გახდა, კომპიუტერის საყიდლად ფულის შეგროვება გადანწყვიტა. თეონამ დაიწყო შაბათ-კვირას სანაყინოში ნახევარ განაკვეთზე მუშაობა და ამ გზით ფულის გამომუშავება. სანამ მუშაობას დაიწყებდა, თეონას საკუთარი ფული არასოდეს ჰქონია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ჯიბის ფულს მშობლები აძლევდნენ, ან ახლობლები ჩუქნიდნენ მცირე თანხას დაბადების დღეზე. შესაბამისად, აქამდე თეონა ფულს ყოველთვის სახლში ინახავდა. მაგრამ ახლა, რადგანაც თეონამ მუშაობა დაიწყო, მას რეგულარული შემოსავალი გაუჩნდა და გაიაზრა, რომ ფულის სახლში შენახვას სჯობს მისი უფრო უსაფრთხო ადგილას დაგროვება და სარგებლის მიღება. სწორედ ამიტომ, თეონამ დეპოზიტის გახსნა გადანწყვიტა და სთხოვა დედას ბანკში გაჰყოლოდა.

თეონამ დედასთან ერთად ქალაქში გაისეირნა, და პირველსავე შემხვედრ ბანკში შევიდა, „რა აზრი აქვს სხვა ბანკების მოძებნას?“ გაიფიქრა თეონამ, „ეს ბანკიც ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც ნებისმიერი სხვა ბანკი.“

თეონა ბანკის ერთ-ერთ ოპერატორთან (კონსულტანტთან) მივიდა და უთხრა, რომ დეპოზიტის გახსნა სურდა. წარბშეკრულმა კონსულტანტმა ჯერ თეონას შეხედა, შემდეგ – თეონას დედას. „თუ დეპოზიტის გახსნა გინდოდა, შეგეძლო თავად არც მოსულიყავი, და მარტო დედა გამოგეშვა. ასე ნაკლებ დროს დავკარგავდით!“ – ამოიხვნეშა კონსულტანტმა და თეონას საჩვენებელი თითით სკამისაკენ მიუთითა: „აქ დაჯექი და არ იხმაურო. როდესაც რომელიმე თანამშრომელი გათავისუფლდება, დაგეხმარება.“ თეონა ისე მოიქცა, როგორც კონსულტანტმა უთხრა.

ერთი საათის შემდეგ, მეორე კონსულტანტი მივიდა თეონასთან და თეონას დედასთან და მათ ხელით ანიშნა, კაბინეტში გამომყევითო. კაბინეტში, კვლავაც უსიტყვოდ, კონსულტანტმა თეონას და თეონას დედას სკამზე მიანიშნა, დასხედითო. ამის შემდეგ, კონსულტანტმა ამოიღო უჭრიდან უამრავი ფორმა, თეონას დედას გახედა, და უთხრა: „როგორც გავიგე, გოგონასთვის დეპოზიტის გახსნა გსურთ. ძალიან კარგი. მოდი, თეონას სახელზე 1-წლიანი დეპოზიტი გავხსნათ. მე თქვენგან თეონას შესახებ გარკვეული ინფორმაცია დამჭირდება. გთხოვთ, სწრაფ –სწრაფად მიპასუხოთ, ძალიან დაკავებული ვარ.“

კონსულტანტმა ფორმები მაგიდაზე დაალაგა და მათი შევსება დაიწყო. პერიოდულად იგი მარტივ შეკითხვებს უსვამდა თეონას დედას – გოგონას სახელი? ასაკი? პირადი ნომერი? მისამართი? რა თანხით გსურთ გოგონას დეპოზიტის გახსნა? ტელეფონის ნომერი? თეონას აინტერესებდა, თუ რაში სჭირდებოდა ბანკს მის შესახებ ამდენი ინფორმაცია, ან როგორ აპირებდა ბანკი თეონას პერსონალური მონაცემების დაცვას, თუმცა მოერიდა კითხვის დასმა. როგორც იქნა, თეონამ მოიკრიბა მთელი თავისი გამბედაობა და იკითხა: „უკაცრავად, ჩემს დეპოზიტზე რა საპროცენტო განაკვეთი მეკუთვნის? ყოველ კვირას შემიძლია დავამატო დეპოზიტზე თანხა თუ ყოველ თვე?“ ამ შეკითხვებზე კონსულტანტმა უპასუხა: „გთხოვ, ნუ მანყვეტინებ. ვიცი რასაც ვაკეთებ; ზუსტად ისეთივე დეპოზიტს გავიხსნი, როგორსაც სხვა არასრულწლოვანს ვუხსნი. თანაც, შენ რა იცი საპროცენტო განაკვეთის და თანხის დამატების შესახებ? დეტალებს დედასთან გავივლი.“ ამაზე თეონას არაფერი უთქვამს.

ამის შემდეგ, კონსულტანტმა თეონას დედას ძალიან მოკლედ და რთული ტერმინებით აუხსნა დეპოზიტის რამდენიმე პირობა. როდესაც თეონას დედა მას კითხვებს უსვამდა, კონსულტანტი უკმაყოფილო სახით ძალიან მოკლე პასუხებს სცემდა. ბოლოს, კონსულტანტმა თეონას დედას უთხრა: „ყველა საბუთი შევსებულია. აქ მომიწერეთ ხელი, შემდეგ კი შეგიძლიათ მოლარესთან მიხვიდეთ და გადასცეთ თანხა, რომლის დეპოზიტზე შეტანაც გსურთ.“ ამის თქმის შემდეგ, ბანკის თანამშრომელი კაბინეტიდან გავიდა. თეონა და თეონას დედა ისე მოიქცნენ, როგორც ბანკის თანამშრომელმა დაარიგა.

ბანკიდან გასვლისას, თეონას და თეონას დედას ფილიალის მმართველი შეხვდათ. ფილიალის მმართველი თავაზიანად მიესალმა მომხმარებლებს და მიუგო: „ძალიან მიხარია, რომ ახალგაზრდა მომხმარებლებს ვხედავ. იმედია დღეს ჩვენს ბანკში კარგი მომსახურება მიიღეთ!“ „დიახ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა“ – უპასუხა თეონამ. გოგონას არ სურდა საკუთარი უკმაყოფილების გამოხატვა.